

მცირე ზომის ფერმერთა საჭიროებების და ინფორმირებულობის კვლევა

(ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია)

მცირე ზომის ფერმერთა საჭიროებების და ინფორმირებულობის კვლევა

(ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია)

The content of this report is the sole responsibility of the Economic Policy Research Center and do not necessarily reflects the views of USAID, the United States Government, or EWMI.

ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC). ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ს შეხედულებებს.

The report is made possible by the support of the American people through the United States Agency for International Development (USAID).

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

სარჩევი

პროექტის შესახებ	4
კვლევის მიზანი	4
მეთოდოლოგია	5
მთავარი მიგნებები	5
კვლევის შედეგები	6
ზოგადი ინფორმაცია რესპონდენტების შესახებ	6
დასაქმებულთა რაოდენობა	7
პროდუქციის გაყიდვა	7
გამოწვევები და პრობლემები	8
ვეტერინარის მომსახურებით სარგებლობა	9
საქონლის დაკვლა	10
სასოფლო-სამეურნეო საშუალებების გამოყენება	10
ჩანაწერების წარმოება	11
ლაბორატორიული მომსახურებით სარგებლობა	11
ინფორმაციის ფლობა კრიტიკული საკონტროლო წერტილების შესახებ (HACCP)	12
ინფორმაციის ფლობა Global Gap-ის შესახებ	13
ინფორმაციის ფლობა ქართველი ექსპორტიორებისთვის არსებული შელაგათიანი სავაჭრო რეჟიმების შესახებ	14
ინფორმაცია იმ მოთხოვნებზე, რომლებიც საჭიროა ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის გატანისთვის	14
დასკვნები და რეკომენდაციები	16

პროექტის შესახებ

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს, რომელიც მომზადდა პროექტის „ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება და მისი გავლენა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორის კონკურენტუნარიანობაზე“ ფარგლებში. პროექტის განმახორციელებელია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC), USAID-ის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტის“ (ACCESS) ფარგლებში.

პროექტი მიზნად ისახავს ქართული სასოფლო-სამეურნეო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას, მცირე პირველადი მწარმოებლებისა და გადამამუშავებელი საწარმოებისათვის ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტანდარტების და რეგულაციების სიღრმისეული კვლევისა და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელების და მწარმოებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის მიწოდების გზით.

პროექტის ფარგლებში გაანალიზდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ახალ სტანდარტებთან და პრაქტიკასთან შესაბამისობის თვალსაზრისით არსებული გამოწვევები, ასევე შიდა და უცხოურ ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესებასთან ასოცირებული პოტენციური სარგებელი მცირე მწარმოებისათვის.

პროექტის ძირითადი ამოცანები:

- 1) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ადგილობრივი მწარმოებლების გაძლიერება ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებითა (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) გათვალისწინებული სტანდარტიზაციის პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით;
- 2) სამოქალაქო საზოგადოების (CSO) წარმომადგენლების გაძლიერება ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებითა (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) გათვალისწინებული სტანდარტიზაციის პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით;
- 3) ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოებისათვის პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება;
- 4) მცირე პირველადი მწარმოებლებისა და გადამამუშავებელი საწარმოების საქროებების შეფასება.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი მწარმოებლების და მცირე ზომის გადამამუშავებელი საწარმოების საქროებების გამოვლენა. კერძოდ, იმის დადგენა თუ რა გამოწვევები და პრობლემები აქვთ, როგორ ყიდვიან წარმოებულ პროდუქციას, სარგებლობენ თუ არა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მომსახურებით, რა საწარმოო საშუალებებს იყენებენ და ფლობენ თუ არა ინფორმაციას თავისუფალ სავაჭრო რეჟიმებზე. გარდა ამისა, კვლევას უნდა დაედგინა ფერმერების ინფორმირებულობის ხარისხი, თუ რამდენად სრულყოფილ ინფორმაციას ფლობენ ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველად მწარმოებლებზე და მცირე ზომის გადამამუშავებელ საწარმოებზე ვრცელდება.

მეთოდოლოგია

საველე სამუშაოები განახორციელა საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ. შერჩევა გაკეთდა ფერმერთა ასოციაციის მონაცემთა ბაზიდან. კვლევა მოიცავს მხოლოდ რაოდენობრივ კომპონენტს.

გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს 5 რეგიონში (კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე ჯავახეთი და გურია) და გამოიკითხნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი მწარმოებლები და მცირე ზომის გადამამუშავებელი საწარმოები. შერჩევის ზომამ შეადგინა 500 რესპონდენტი. შერჩევის მოცულობა არ იძლევა კვლევის შედეგების განზოგადების შესაძლებლობას, როგორც მთელი საქართველოს, ისე ცალკეული რეგიონების მასშტაბით. გამოყენებული იქნა ნახევრად სტრუქტურული კითხვარი. რესპონდენტები გამოიკითხნენ კომპიუტერის მეშვეობით ჩატარებული სატელეფონო ინტერვიუს (CATI) მეთოდით.

ცხრილი 1. შერჩევა

რესპონდენტების რაოდენობა	500
მათ შორის	
ფიზიკური პირი	326
ინდივიდუალური საწარმო	102
შპს	46
კოოპერატივი	20
ამხანაგობა	3
სააქციო საზოგადოება	2
კავშირი	1

მთავარი მიზნები

- რესპონდენტთა დაახლოებით 80 პროცენტს დასაქმებული ჰყავს 5 ან ნაკლები ადამიანი.
- გამოკითხული 428 ფიზიკური პირიდან და მცირე საწარმოდან სულ 3-ს გააქვს ექსპორტზე საკუთარი პროდუქცია. ისინი ტრადიციული ქართული პროდუქციის - 2 ლვინის და 1 ჩაის მწარმოებლები არიან;
- ფინანსურ რესურსებზე წვდომა და არასაკმარისი ინფრასტრუქტურა (მათ შორის მიწა) აგრარული პროდუქციის მწარმოებლებისთვის მთავარ ორ პრობლემად რჩება;
- მეცხოველეობით დაკავებულ რესპონდენტთა 1/3 აცხადებს, რომ არ სარგებლობს ვეტერინართა მომსახურებით. ამის მიზეზი როგორც ფინანსური, ისე ხელმისაწვდომობის პრობლემაა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ არც სასაკლაოების გამოყენების ვალდებულებას ასრულებს ყველა რესპონდენტი.
- გამოკითხულ რესპონდენტთა თითქმის 50% არ ასრულებს DCFTA-ის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მცენარეთა დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების გამოყენების შესახებ ჩანაწერების წარმოების მიმართულებით.
- გამოკითხულთა უმრავლესობა (53%) არ იყენებს ლაბორატორიულ კვლევებს; ამის ერთ-ერთი მიზეზი ლაბორატორიის ტერიტორიული სიშორე და მომსახურების ფასებია.
- HACCP-ის დანერგვა, 2020 წლიდან სავალდებულო იქნება მეცხოველეობის და მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელი საშუალო და მცირე ზომის ფერმერებისთვისაც. მიუხედავად ამისა, იმ რესპონდენტთა უმრავლესობა (73%), რომელთაც ამ სისტემის დანერგვა მოუწევთ არ ფლობს ინფორმაციას ამ მოთხოვნების შესახებ;

- რესპონდენტების 72%-ს არ აქვს ინფორმაცია საქართველოს შეღავათიანი საექსპორტო რეჟიმების თაობაზე;


- მნიშვნელოვანი მიგნებაა, რომ ის ფერმერები, რომლებიც კოოპერატივების წევრები არიან, სხვა, კოოპერატივის არა-წევრი ფერმერებისგან განსხვავებით, არ გამოიჩინებენ ზოგადი ინფორმირებულობის უფრო მაღალი ხარისხით, რაც ნიშნავს, რომ ტრენინგ და საინფორმაციო პროგრამები ამ მიმართულებითაც არასაკმარისია.

კვლევის შედეგები:

ზოგადი ინფორმაცია რესპონდენტების შესახებ

გამოკითხული 500 რესპონდენტიდან 108 დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საქმიანობით (სურსათის წარმოებით), ხოლო დანარჩენი 392 პირველადი წარმოებით.

ნახ.1.



რაც შეეხება რესპონდენტების გადანაწილებას ქვე-სექტორების მიხედვით (მემცენარეობა და მეცხოველეობა), ის მოცემულია ცხრილ 2-ში.

ცხრილი 2.

მემცენარეობა	316
მეცხოველეობა ან მეცხოველეობის პროდუქცია	167
აწარმოებს ორივეს	17

გამოკითხული 428 ფიზიკური პირიდან და ინდივიდუალური საწარმოდან 84 ქალია (19.6%); ამ 428 რესპონდენტიდან 43.9% კოოპერატივის წევრია (სულ 188).


მნიშვნელოვანი მიგნებაა, რომ ის ფერმერები, რომლებიც კოოპერატივების წევრები არიან, სხვა, კოოპერატივის არა-წევრი ფერმერებისგან განსხვავებით, არ გამოიჩინებენ ზოგადი ინფორმირებულობის უფრო მაღალი ხარისხით ყველა იმ საკითხზე, რაზეც კვლევის შემდგომ ანალიზშია საუბარი, მაშინ როდესაც, კოოპერატივებს და მათ წევრებს შედარებით უფრო მეტი ტრენინგი ჩაუტარდათ.

რესპონდენტების ასაკი 18-დან 83-წლამდე მერყეობს. ყველაზე ახალგაზრდა რესპონდენტი 18 წლისაა და ყველაზე უხუცესი 83 წლის. 18-დან 25 წლამდე ასაკის სულ 14 რესპონდენტი, ხოლო 65 წლის და ზევით 30 რესპონდენტი (7 მათგანი 70 წლის ან უხუცესია).

დასაქმებულთა რაოდენობა

გამოკითხულთა დაახლოებით 80 პროცენტს დასაქმებული ჰყავს 5 ან ნაკლები ადამიანი. აღსანიშნავია, რომ 21 გამოკითხული მხოლოდ თვითონ მუშაობს და სხვა დასაქმებული არ ჰყავს. დასაქმებულების რაოდენობის მიხედვით რესპონდენტები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ნახ.2. დასაქმებულების რაოდენობა




მონაცემები დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ, ადეკვატურად ასახავს იმ ტენდენციას, რომელიც დამახასიათებელია საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის და მეტწილად დამოკიდებულია მცირე ზომის საწარმოებზე და ფერმერულ ორგანიზაციებზე.

პროდუქციის გაყიდვა

კითხვაზე თუ როგორ ყიდვიან საკუთარ პროდუქციას პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ნახ. 3.




აღსანიშნავია, რომ 3 რესპონდენტს საკუთარი პროდუქცია გააქვს ექსპორტზე. მათგან 2 არის ღვინის მწარმოებელი კომპანია და ერთი ჩაის მწარმოებელი კომპანია. სამი ექსპორტიორიდან 2 არის შპს, ხოლო ერთი ინდივიდუალური საწარმო.

ზემოთ წარმოდგენილი შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა საბითუმო შუამავალზე ყიდის საკუთარ პროდუქციას, ან თვითონ გააქვს აგრარულ ბაზარზე, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჯერ ერთი, ამ რეგიონებში სადისტრიბუციო ქსელი მუშაობს და ასევე პირველად მწარმოებლებსაც აქვთ წვდომა აგრარულ ბაზრებზე. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა რესპონდენტი გაყიდვის რამდენიმე საშუალებას იყენებდა.

გამოწვევები და პრობლემები

კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა იყო თუ „რა გამოწვევები ან პრობლემები აქვთ რესპონდენტებს წარმოებისას?“ შესაძლებელი იყო ერთი ან რამდენიმე პრობლემის დასახელება და პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

ნახ. 4. რა გამოწვევები და პრობლემები აქვთ წარმოებისას?




66 რესპონდენტმა დაასახელა სხვა პრობლემა და გამოწვევა გარდა იმისა, რაც ზემოთ გრაფიკშია მოცემული. ეს პრობლემებია: მაღალი ფასები (13 რესპონდენტი), შხამ-ქიმიკატების და პესტიციდების ხარისხი და ხელმისაწვდომობა (10), ცვალებადი ფასები (10), ბუნებრივი და კლიმატური პირობები (7), შესანახი სამაცივრე მეურნეობის და სათავსოების არქონა (6), დაავადებები (4), მუშახელის კვალიფიკაცია (4), აგროდაზღვევის არქონა (3), საკვებზე ხელმისაწვდომობა (3), ლაბორატორიებზე ხელმისაწვდომობა (3), ფალსიფიცირებული პროდუქტის არსებობა (3), არასტაბილურობა (2), იმპორტთან კონკურენცია (2), ნახევარფაბრიკატების ნაკლებობა (2), საძოვრებზე ხელმისაწვდომობა (2), სასაკლავო მომსახურების მაღალი ფასი (2), უშუქობა (2), ზედმეტი რეგულაციები (2). რესპონდენტებმა დაასახელა შემდეგი პრობლემა და გამოწვევა: ვეტერინარიზმზე ხელმისაწვდომობა, სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ინტერესი, დაავადებისას უხარისხო მედიკამენტები, სათესლე მასალის არქონა.

როგორც ამ შეკითხვაზე მიღებულმა პასუხებმა აჩვენა, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და არასაკმარისი ინფრასტრუქტურა (მათ შორის მიწა) აგრარული პროდუქციის მწარმოებლებისთვის ყველაზე დიდ პრობლემად რჩება. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგებმაც დაახლოებით იგივე აჩვენა - მეურნეობების 77.1%-ს (4-დან 3 მეურნეობას) სარგებლობაში აქვს 1 ჰექტარზე ნაკლები სასოფლო-სამეურნეო მიწა.

ვეტერინარის მომსახურებით სარგებლობა

მეცხოველეობით დაკავებულმა 167 რესპონდენტმა პასუხი გასცა შეკითხვაზე, სარგებლობს თუ არა ვეტერინარის მომსახურებით. პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ნახ. 5. იყენებთ თუ არა ვეტერინარის მომსახურებას?




მართალია ვეტერინარის მომსახურებით სარგებლობა სავალდებულო არ არის, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ ვეტერინარის მომსახურება ფასიანია და ყველა სოფელში არ არის ვეტერინარი, ყველა ვერ სარგებლობს ვეტერინარის მომსახურებით, რაც გარკვეული რისკის მატარებელია.

საქონლის დაკვლა

საქონელს კლავს ან დაუკლავს მხოლოდ 45 გამოკითხულს. მათი უმრავლესობა იყენებს სასაკლავოს მომსახურებას, მაგრამ ბევრია ისეთი, ვისაც საქონელი დასაკლავად სასაკლავოზე არ მიყავს.

ნახ. 6. როგორ კლავთ პირუტყვს?




მიუხედავად იმისა, რომ საქონლის სასაკლავოზე დაკვლა სავალდებულოა, ბევრი რესპოდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი არ სარგებლობს სასაკლავოს მომსახურებით, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ მიმართულებით შემდგომშიც ჩასატარებელია შესაბამისი საინფორმაციო კამპანია.

სასოფლო-სამეურნეო საშუალებების გამოყენება

მემცენარეობით დაკავებული რესპოდენტებიდან 238 იყენებს პესტიციდებს, ხოლო 74 არ იყენებს. რაც შეეხება სასუქებს, 269 იყენებს (მათ შორის 12 ბიოს, 6 ორგანულს), ხოლო 74 სასუქს არ იყენებს.


ნახ.7. ვინ გაძლევთ რჩევას სასოფლო-სამეურნეო საშუალებების (შხამ-ქიმიკატი, სათესლე მასალა) გამოყენების შესახებ?



როგორც ირკვევა, ფერმერები სასოფლო-სამეურნეო საშუალებების გამოყენებაზე ყველაზე მეტად რეკომენდაციას მაღაზიდან იღებენ. გარდა ამისა, რჩევებს იღებენ ფერმერთა მომსახურების ცენტრებიდან, საკუთარი გამოცდილებით, აგრონომებიდან, ექსტენციის ცენტრებიდან და ასე შემდეგ. რჩევის მიღება ყველა ამ საინფორმაციო წყაროდან და საშუალებიდან არის შესაძლებელი და ყველა ჩამოთვლილი სუბიექტი უფლებამოსილია ამ მიმართულებით გასცეს რჩევები და რეკომენდაციები.

ჩანაწერების წარმოება

ნახ. 8. წარმოების პროცესში აწარმოებთ თუ არა ჩანაწერებს რა სახის პესტიციდები, სასუქები ან ცხოველური საკვები გამოიყენეთ?



DCFTA-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიკვლევადობის განსახორციელებლად აუცილებელია მწარმოებელს ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს. იმ მწარმოებლებს, რომლებიც მოიყვანენ მცენარეულ პროდუქტებს მათი შემდგომი გადამუშავების მიზნით, მოეთხოვებათ იქონიონ ჩანაწერები მცენარეთა დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების გამოყენების შესახებ. როგორც კვლევის შედეგი აჩვენებს, ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია იმ ფერმერების რაოდენობა, რომელიც მსგავს ჩანაწერებს არ აკეთებს.

ლაბორატორიული მომსახურებით სარგებლობა

შეკითხვაზე, აკეთებთ თუ არა წარმოებულ პროდუქციის ანალიზს და იყენებთ თუ არა ლაბორატორიულ მომსახურებას, რესპონდენტების პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

ცხრილი 3

არა	261
დიახ	217
აკეთებს მხოლოდ ნიადაგის ანალიზს	8
გეგმავს სამომავლოდ	4


217 დადებითი პასუხის გამცემი რესპონდენტებიდან ორმა თქვა, რომ ლაბორატორიულ ანალიზს აკეთებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროდუქტი დაავადდა.

მიზეზების დასადგენად შეკითხვა არ დასმულა, თუმცა 261 უარყოფითი პასუხის გამცემი რესპონდენტებიდან, მხოლოდ ერთმა თქვა რომ ლაბორატორია თბილისშია და უძნელდებათ ანალიზის ჩატარება. როგორც შედეგები აჩვენებს, გამოკითხულთა უმრავლესობა ლაბორატორიულ მომსახურებას არ იყენებს. ეს ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ მომსახურება ფასიანია და ლაბორატორია ყველგან ადვილად ხელმისაწვდომი არ არის.

ინფორმაციის ფლობა კრიტიკული საკონტროლო წერტილების შესახებ (HACCP)

რესპონდენტებს, რომლებიც მეცხოველეობას ეწევიან ან მეცხოველეობის პროდუქციას აწარმოებენ (სულ 184), პასუხი უნდა გაეცათ შეკითხვაზე, ფლობენ თუ არა ინფორმაციას HACCP-ის შესახებ. ეს შეკითხვა მნიშვნელოვანი იყო იქედან გამომდინარე, რომ სურსათის მწარმოებელ ბიზნეს ოპერატორს დანერგილი უნდა ჰქონდეს HACCP-ის 7 პრინციპი. ამ შეკითხვას მთლიანობაში პასუხი გასცა 222-მა რესპონდენტმა. მათგან 179-მა მეცხოველეობის და მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელმა.

ნახ. 9. ფლობთ თუ არა ინფორმაციას HACCP-ის შესახებ?




აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან HACCP-ის სისტემის შეუსაბამობა იწვევს საწარმოს დაჯარიმებას.

5-მა მეცხოველეობის და მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელმა შეკითხვას არ უპასუხა.

ხოლო შეკითხვაზე, თუ საიდან გაიგეს HACCP-ის შესახებ, პასუხი მხოლოდ 82-მა გასცა და შემდეგნაირად განაწილდა:


ნახ. 10.



ინფორმაციის ფლობა GLOBAL GAP-ის შესახებ

რესპონდენტებს (სულ 332 . გვ.2), რომლებიც ხილ-ბოსტნეულს აწარმოებენ, პასუხი უნდა გაეცათ შეკითხვისთვის ფლობენ თუ არა ინფორმაციას Global Gap-ის შესახებ. პასუხი გასცა 305-მა რესპოდენტმა.


ნახ. 11. ფლობთ თუ არა ინფორმაციას Global Gap-ის შესახებ?



27-მა რესპოდენტმა შეკითხვას არ უპასუხა.

ხოლო შეკითხვაზე, თუ საიდან გაიგეს Global Gap-ის შესახებ, პასუხი მხოლოდ 30-მა გასცა და შემდეგნაირად განაწილდა:

ნახ.12.




როგორც HACCP-ის, ასევე Global Gap-ის სტანდარტების დაცვა 2020 წლიდან ყველასთვის, მათ შორის საშუალო და მცირე ზომის ფერმერებისთვისაც იქნება სავალდებულო. საყურადღებოა დღეის მდგომარეობით ინფორმირებულობის ასეთი დაბალი დონე რაც ამ მიმართულებით საინფორმაციო კამპანიის ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითებს. ნიშანდობლივია, რომ ამ მიმართულებით ძირითადი საინფორმაციო წყაროს არასამთავრობო ორგანიზაციები და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს. სწორედ ისინი მუშაობენ ამ საინფორმაციო მიმართულებით ყველაზე აქტიურად და სამომავლოდაც მათ მოუწევთ კიდევ უფრო აქტიური და ინტენსიური საინფორმაციო კამპანიის წარმოება.

ინფორმაციის ფლობა ქართველი ექსპორტიორებისთვის არსებული შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმების შესახებ

რესპონდენტებს დაუსვეს შეკითხვა იმის თაობაზე, ფლობენ თუ არა ინფორმაციას ქართველი ექსპორტიორებისთვის არსებული შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმების შესახებ. შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:


ნახ.13.



სამმა რესპონდენტმა შეკითხვას პასუხი არ გასცა. საინტერესოა, რომ სამი ექსპორტიორი კომპანიიდან ერთმა არაფერი იცის ქართველი ექსპორტიორებისთვის არსებული შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმების შესახებ. მთლიანობაში, რესპონდენტების 72%-ს ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

ინფორმაცია იმ მოთხოვნებზე, რომლებიც საჭიროა ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის გატანისთვის

ნახ.14. იცით თუ არა რა მოთხოვნების დაკმაყოფილებაა საჭირო იმისთვის, რომ საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე გავიდეს?




აღსანიშნავია, რომ 141-მა რესპონდენტს სამივე ტიპის მოთხოვნის შესახებ აქვს ინფორმაცია. მთლიანობაში, 255 რესპონდენტმა იცის ერთი მოთხოვნის შესახებ მაინც. 12-მე რესპონდენტმა შეკითხვას არ უპასუხა.

მთლიანობაში, გამოკითხულთა 48% არაფერი იცის მოთხოვნების შესახებ, სულ 233 რესპონდენტი. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, იმის გათვალისწინებით, რომ DCFTA-ის და ყველა შესაბამისი მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით დაკავებულია არა მხოლოდ საქართველოს მთავრობა, არამედ ბევრი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია.

შეკითხვაზე, თუ კონკრეტულად რა მოთხოვნებია დაწესებული პროდუქციის მიმართ, უმრავლესობამ ზუსტად არ იცის, ბევრი პასუხობს რომ პროდუქტი უნდა იყოს ბიო, ასევე საუბრობენ სერტიფიცირების, აცრების, ლაბორატორიული შემოწმების, ჰიგიენური, ეტიკეტირების, შენახვის პირობების, შხამ-ქიმიკატების და პესტიციდების გამოყენებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე. საინტერესოა, რომ 10-მა რესპონდენტის თქმით, ყველაფერი იცის ამ მოთხოვნების შესახებ მაგრამ მათ არ დაუკონკრეტებიათ საკუთარი პასუხი. ხოლო შეკითხვაზე, თუ საიდან გაიგეს ევროკავშირის მოთხოვნების შესახებ, პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

ნახ.15. საიდან გაიგეთ ევროკავშირის მოთხოვნების შესახებ?



23-მა რესპონდენტმა ამ შეკითხვას არ უპასუხა. კონკრეტულად ამ შეკითხვაზე პასუხების გადანაწილება აჩვენებს, რომ ინფორმაციის გავრცელების ყველაზე საუკეთესო საშუალება საინფორმაციო საშუალებებია, რომლებიც კიდევ უფრო აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული მომავალში.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოვლინდა ფერმერთა საჭიროებები და მათი ინფორმირებულობის ხარისხი ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების და მასთან ერთად DCFTA-ის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ გაატაროს რიგი ღონისძიებები, რაც დაეხმარება ფერმერებს DCFTA-ის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებაში.

რეკომენდირებულია შემდეგი სახის ღონისძიებების გატარება:

- ევროკავშირთან გაფორმებული DCFTA-ის შესახებ ფერმერების უკეთ ინფორმირება და ცოდნის გადაცემა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფართო საზოგადოებას და კონკრეტულად, ფერმერებს მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია DCFTA-ის შედეგების შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს, როგორც დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე შესაძლებლობებს, რასაც იძლევა აღნიშნული ხელშეკრულება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროცესში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება. რეგიონული სატელევიზიო და მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებით, საქართველოს მთავრობამ უნდა განუმარტოს მოსახლეობას და აგრობიზნესის წარმომადგენლებს, რომ ევროკავშირთან უფრო ღრმა ინტეგრირება არანაირ საფრთხეს არ უქადის საქართველოს სოფლის მეურნეობას. გარდა ამისა, ბენეფიციარებს უნდა აუხსნან, რომ DCFTA-ის ხელმოწერა ნიშნავს ქვეყნის წინსვლას ეკონომიკის და კერძოდ, სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის მოდერნიზების საქმეში. საინფორმაციო კამპანიის მნიშვნელოვანი ელემენტი უნდა იყოს მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება რეგულირების ახალი სტანდარტების, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიკვლევადობის, უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის საშუალებების შესახებ. მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება დროთა განმავლობაში ფერმერებზე მოახდენს გავლენას და უბიძგებს მათ უფრო უვნებელი და მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტები აწარმოონ.

- ეფექტიანი რეგულირება, ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაცია. საქართველოს მთავრობამ უნდა გააგრძელოს სურსათის უვნებლობის და შესაბამისი მარეგულირებელი სისტემის რეფორმირება, რასაც უნდა მოყვეს სურსათის უვნებლობის, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების აქტიური განხორციელება. ახალი სტანდარტები არ უნდა იქნეს ფერმერების მიერ აღქმული ზედმეტ ხარჯად, რომლის გაწევაც არ ღირს. მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს შესაბამისობის სქემები, რომლებიც სასარგებლოა გრძელვადიან პერსპექტივაში და მწარმოებლებს უბიძგებს შეასრულონ ისინი.

- სახელმწიფო ინვესტიციების მიმართვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისთვის. DCFTA-ს დებულებებთან შესაბამისობა მოითხოვს სათანადო ფიზიკურ ინფრასტრუქტურას და პროცედურებს საწარმოს დონეზე. მაგალითად, რძის და რძის ნაწარმის ადგილობრივი საწარმოები საკმაოდ სწრაფად უნდა იქნეს ახალ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანილი. მიუხედავად იმისა, რომ პირველადი მწარმოებლებისა და შინამეურნეობებისთვის, რომლებიც პროდუქციას საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ, არ არის აუცილებელი რიგი მოთხოვნების დაკმაყოფილება, მნიშვნელოვანია, საწარმოებისთვის ამ გარდამავალი პერიოდის შემსუბუქება, რათა მცირე ფერმერებს დამატებითი ტვირთი არ დააწვეს.

- რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების როლის გაძლიერება მნიშვნელოვანია რეგიონული საკონსულტაციო ცენტრის კადრების შესაძლებლობების ზრდა, რათა მათ უკეთ შეძლონ ფერმერთა ინფორმირება ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესახებ და სასოფლო-სამეურნეო საწარმოო საშუალებების შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდება. ზოგადად, განათლების სისტემის განვითარება ქართველ ფერმერებს შესაძლებლობას მისცემს, გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანები და გამდიდრდნენ. ამისათვის შესაძლებელია მასშედიისა და სოციალური ქსელების ძალიან ეფექტურად გამოყენება საინფორმაციო კამპანიისთვის. მთავრობამ თავისი ძალისხმევა უნდა წარმართოს ექსპერიმენტული და სადემონსტრაციო მიწის ნაკვეთების განვითარებასა და შენარჩუნებაზე, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების ტრანსფერს ფერმერებისთვის.

- ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს და უფრო აქტიურად მიმართოს ძალისხმევა ფერმერთა ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების შექმნისკენ. ასეთი ტიპის ასოციაციები დაეხმარება ფერმერებს ინფორმაციის მიღებაში, რესურსების გაერთიანებაში, როგორც ადგილობრივი ასევე ევროკავშირის ბაზრის პოტენციალის ათვისებისთვის. ასეთ შემთხვევაში ბევრად უფრო გააძვირდება ევროკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციის ცნობადობის გაზრდა და ზოგადად, წარმოების პრაქტიკის და ხარისხის გაუმჯობესება. ფერმერთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მხარდაჭერა შესაძლოა საუკეთესო ინსტრუმენტი აღმოჩნდეს ექსპორტის მარკეტინგისთვის. ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ფერმერთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა საერთაშორისო ბაზრობებსა და კონკურსებში მონაწილეობას, ბრენდის იმიჯის შექმნას, სასწავლო ტურების მოწყობას, სარეკლამო მასალებისა და მომხმარებლებისთვის სასარგებლო ინფორმაციის შემუშავებას, კომპეტენტურ დისტრიბუტორებსა და მყიდველებთან კავშირების დამყარებას, ადგილობრივი სახეობების პოპულარიზებას, საცდელი გასაყიდი პარტიების გაგზავნას და სხვა.

- თესლისა და სათელსე მასალის სერტიფიცირების თანამედროვე სტემების შემოღება და განხორციელება. ეს ფერმერებს შესაძლებლობას აძლევს, უკეთესი ხარისხის თესლი და სათელსე მასალა მოიპოვონ. ჯერ ერთი, თესლისა და სათელსე მასალის სერტიფიცირების კარგი სტემები მოხსნის უარყოფით გარე ფაქტორებს, რომლებიც გაყიდული საწარმოო რესურსების გაუმჭვირვალობასა და მიკვლევადობას უკავშირდება და რაც უფრო მნიშვნელოვანია, საგრძნობლად გაზრდის მოსავალს და აამაღლებს პროდუქციის ხარისხს.

- საქართველოს მთავრობა DCFTA-ს განიხილავს სოფლებსა და რეგიონებში ეკონომიკის განვითარების უფრო ფართო კონტექსტში. სახელმწიფოს ძალისხმევა ასევე კონცენტრირებული უნდა იყოს სოფლის განვითარების და შემოსავლების წყაროების დივერსიფიკაციის მექანიზმებზე. ამჟამად, საქართველოს სამუშაო ძალის თითქმის ნახევარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველად წარმოებაშია დასაქმებული, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში არ არის მდგრადი. მთავრობამ უნდა წაახალისოს მცირე გადაამამუშავებელი და შესაფუთი აქტივობების შესაძლებლობების გაძლიერება, ასევე ინვესტირება მოახდინოს სოფლის ინფრასტრუქტურაში, რაც ხელს შეუწყობს არასასოფლო-სამეურნეო წარმოების და სერვისების შექმნას.



ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)
ფალიაშვილის ქ. 85. მეთხე სართული. 0162. თბილისი. საქართველო.

☎ (995 32) 2 207 305

✉ info@eprc.ge

📘 [@EPRC_Georgia](https://www.instagram.com/EPRC_Georgia)

🌐 [Economic Policy Research Center](https://www.facebook.com/EconomicPolicyResearchCenter)

🌐 www.eprc.ge